

ვაჟა ვარაზაშვილი

**2011 წლის ივნისის საველე არქეოლოგიური
დაზვერვების ანგარიში***

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კახეთის არქეოლოგიური რაზმი, 2011 წლის 3-16 ივნისს, აგრძელებდა „სახელმწიფოს სათავეებთან კავკასიაში“ პროექტით გათვალისწინებულ არქეოლოგიურ დაზვერვებს იორ-ალაზნის აუზში, არქეოლოგიური რუკის შესაქმნელად. იმავდროულად, ექსპედიციას ჰქონდა სასწავლო – შემეცნებითი ფუნქციაც, რადგან მასში მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები, რომლებმაც გაიარეს საველე არქეოლოგიის საფუძვლების კურსი. ექსპედიციამ წარმატებით ჩაიარა. აღმოჩნდა და დაფიქსირდა სხვადასხვა პერიოდის 43 ძეგლი (ნამოსახლარი, ყორღანული ველი, სამაროვანი და სხვა). ქვემოთ ვიძლევიტ ძეგლების აღწერას და მათ კოორდინატებს.

პუნქტი 279

ნამოსახლარი

სიმაღლე** – 260 მ.

კოორდინატები: 41.18572 N 046.40083 E

ძეგლი მდებარეობს სოფ. საბათლოს (დედოფლისწყაროს რ-ნი) სამხრეთით, 300-ოდე მეტრის დაშორებით, მშრალი ხევის მარჯვენა მხარეს. გამართულია დაბალი სერის ერთ-ერთ თავმრგვალ გორაზე. ფორმით ელიფსური, დამხრობილი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. შემოსდევს მაღალი მინაყრილი ზემოთ ანეული კიდეებით. სიგრძე – 85 მ., სიგანე – 70 მ.

ნამოსახლარს დასავლეთის მხრიდან ჩამოუდის კიდევ ერთი მშრალი ღელე, რომლის გაღმაც, სამხრეთიდან ჩრდილოეთით დაფერდებულ ველზე, აიკრიფა მცირე მასალა. ამის მიხედვით შეიძლება აქ სამაროვანი ვივარაუდოთ და მისი თარიღი ძვ. წ. I ათასწლეულის სანყისი საუკუნეებით განვსაზღვროთ.

* ექსპედიციაში მონაწილეობდნენ სტუდენტები: ბაჩო გაბეხაძე, შორენა ზარდიაშვილი, ვაჟა მამიაშვილი, ნათია ჯაფარაშვილი, მირანდა ლაბაძე, ნათია ჯალაღანია, თეონა ბუბუტიშვილი და მძღოლი ბაკურ ჩერქეზიშვილი.

** სიმაღლეები ყველგან ზღვის დონიდანაა მოცემული.

პუნქტი 280

ნამოსახლარი

სიმაღლე – 300 მ.

კოორდინატები: 41.19241 N 046.39269 E

აღმოჩნდა სოფ. საბათლოს (დედოფლისწყაროს მუნიცი.) შესასვლელში, დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიმართული მშრალი ხევის მარჯვენა მხარეს, სოფლიდან 300-მდე მეტრში. ასეთივე მშრალი ღელე ჩამოუდის დასავლეთის მხრიდანაც. ნამოსახლარი გამართულია მაღალ გორაზე. ძეგლს ირგვლივ ციცაბო ფერდობი შემოსდევს. მხოლოდ სამხრეთით, ვიწრო ზოლად ებმის მიმდებარე რელიეფს და სწორედ აქ აქვს თავდაცვითი თხრილი გამართული. ძეგლის ზედაპირი ნაწილობრივ დაზიანებულია მაღალი ძაბვის ანძის დადგმის დროს. ნამოსახლარი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს უნდა ეკუთვნოდეს.

პუნქტი 281

საკულტო (?)

სიმაღლე – 194 მ.

კოორდინატები: 41.20072 N 046.40388 E

ძეგლი დაფიქსირდა სოფ. საბათლოს (დედოფლისწყაროს მუნიცი.) ჩრდილოეთით 300-400 მ დაშორებით, მდ, ალაზნის მარჯვენა მხარეს, მდინარის პირზე. აღმოჩენა მოხდა შემთხვევით, მიწის დამუშავების დროს, როცა ადგილს ამზადებდნენ საზამთროს ბალისთვის. მიწის ღრმად მოხვნის დროს გუთანმა მიწის სიღრმიდან ამოაგდო ქვის ბაზისი. მის გარშემო კი აიკრიფა მცირე მასალა და კედლის მოლესილობის ფრაგმენტები. ძეგლის სავარაუდო თარიღი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანები უნდა იყოს.

პუნქტი 282

რკინის სადნობი სახელოსნო

სიმაღლე – 163 მ.

კოორდინატები: 41.11302 N 046.14504 E

დაფიქსირდა მდ. ივრის მარცხენა მხარეს, ვარაზმანავარის (პუნქტი 101) ციხის დასავლეთით 400-500 მ დაშორებით, მშრალი ხრამის მარცხენა მხარეს. სახელოსნო საკმაოდ დიდ ფართობზეა გაშლილი (100 X 60 მ). რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ აქ ადრე ცხვრის საზამთრო ბინები უნდა ყოფილიყო ნახევარმინურების სახით. რაც ბუნებრივია, ძეგლს საგრძნობლად დააზიანებდა. ზედაპირზე ადგილ-ადგილ კარგად ჩანს წიდის წვრილი ნაფხვენები, ზოგ ადგილას მოზრდილი ფრაგმენტები.

პუნქტი 283

ყორღანული ველი

სიმაღლე – 289 მ.

კოორდინატები: 41.25905 N 045.91416 E

აღმოჩნდა დალის მთის წყალსაცავის აღმოსავლეთით, მდ. ივრის მარცხენა მხარეს, აქ რამდენიმე პატარა გორასამარხი დაფიქსირდა დიამეტრით 10 მ-მდე, სიმაღლე 0.40-0.80 მ, ყველა ქვაყრილიანია.

პუნქტი 284

ყორღანული ველი

სიმაღლე – 319 მ.

კოორდინატები: 41.33509 N 045.86358 E

სულ რამდენიმე გორასამარხი დაფიქსირდა დალის მთის დასავლეთით 7-8 კმ დაშორებით, მდ. ივრის მარცხენა მხარეს. ერთი მათგანის დიამეტრი 17 მ-ა, სიმაღლე 0.40 მ. დანარჩენები კი უფრო მომცროა.

პუნქტი 285

გორასამარხი

სიმაღლე – 317 მ.

კოორდინატები: 41.34359 N 045.85005 E

გორასამარხი მდ. ივრის მარცხენა მხარეს დაფიქსირდა. დიამეტრი 12 მ. და სიმაღლე 0.40 მ. ქვამინაყრილიანი. იქვე ახლოს, დასავლეთით, 50 მ-ზე აღმოჩნდა რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთი. როგორც ჩანს, დაუზიანებია ცხვრის საზამთრო ბინას. მხოლოდ მცირე ფართობზეა შემორჩენილი წიდის წვრილი ნამცეცების ლაქა.

პუნქტი 286

ყორღანული ველი

სიმაღლე - 322 მ.

კოორდინატები: 41.35045 N 045.84510 E

ყორღანული ველი აღმოჩნდა მდ. ივრის მარცხენა და კოდის-წყლის (მდ. ივრის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს, სწორ, გაშლილ ველზე. მისგან ჩრდილოეთით ასიოდე მეტრში დაბალი სერია აღმართული. ველზე რამდენიმე გორასამარხი დაფიქსირდა დიამეტრით 15-20 მ და 1 მ სიმაღლით. ყველა ქვაყრილიანია.

პუნქტი 287

ნამოსახლარი

სიმაღლე – 390 მ.

კოორდინატები: 41.35611 N 045.84433 E

ნამოსახლარი ფორმით ელიფსური, დაფიქსირდა სერის თხემზე, დაგრძელებული ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით. სამი მხრიდან შემოსდევს ციცაბო ფერდობი. მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთით ებმის მიმდებარე რელიეფს და სწორედ აქ აქვს თავდაცვითი თხრილი გავლებული. ამავე მხარეს, იქვე მის სიახლოვეს, აღმოჩნდა 12 მ დიამეტრისა და 0.50 მ სიმაღლის ქვაყრილიანი გორასამარხი, კარგად გამოკვეთილი ძაბრისებრი ჩავარდნით.

პუნქტი 288

გორასამარხი

სიმაღლე – 326 მ.

კოორდინატები: 41.36258 N 045.82400 E

დაფიქსირდა მდ. ივრის მარცხენა მხარეს, სამონადირეო მეურნეობის სიახლოვეს. სამარხი წესიერი წრიულია 60 მ დიამეტრითა და 5-6 მ სიმაღლით. იქვე ახლოს, მისგან ჩრდილო-დასავლეთით კიდევ ორი მომცრო გორასამარხი დაფიქსირდა.

პუნქტი 290

ნამოსახლარი

სიმაღლე – 328 მ.

კოორდინატები: 41.35701 N 045.80001 E

ნამოსახლარი დაფიქსირდა მდ. ივრის მარცხენა მხარეს, ე.წ. „კარის გზის“ მოპირდაპირე მხარეს. ძეგლი წარმოადგენს მდინარის გასწვრივ კიდებამონეულ ბუნებრივ შემაღლებას, რომელიც ჩრდილოეთით თანდათან ეშვება და ველთან თითქოს თავდაცვითი ზღუდით მთავრდება. სამხრეთის მხრიდან ბორცვს საკმაოდ ციცაბო ფერდობი შემოუყვება. ნამოსახლარის სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 200-250 მ, სიგანეში კი 150 მ. ანაკრეფი ზედაპირული მასალის მიხედვით ძეგლი ალბათ, შუა ფეოდალური ხანით უნდა დათარიღდეს.

პუნქტი 291

სადგომი

სიმაღლე – 339 მ.

კოორდინატები: 41.35868 N 045.78656 E

ძველი გასული საუკუნის 70 წლების შუა ხანებში იქნა აღმოჩენილი. მდებარეობს მდ. ივრის მარცხენა მხარეს, დაბალ ბორცვიან ველზე. აიკრიფა ასეულობით ობსიდიანის პატარა ზომის ანატკეც-ანამტვრევები, სადაც ქერცლისებური ანატკეცები უფრო ჭარბობდა. ზოგიერთ ანატკეცზე შეიმჩნევა წმინდა რეტუში. ამჯერადაც ორ ათეულამდე ანალოგიური მასალა იქნა მოპოვებული.

პუნქტი 292

სამაროვანი

სიმაღლე – 435 მ.

კოორდინატები: 41.40061 N 045.77913 E

სამაროვანი აღმოჩნდა მდ. ივრისა და აკაკიანთ ხევის მარცხენა მხარეს, წყლის მიერ ჩამორეცხილ დაბალ ფლატეში (მიაკვლია სოფ. ქვემო ბოდბეში მცხოვრებმა ივერი ტარყაშვილმა). იქვე აიკრიფა ერთი ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი. ბორცვიან და სამხრეთით დაფერდებულ ფერდობზე შეინიშნება მცირე ქვაყრილები, რაც სავარაუდოდ სამარხები უნდა იყოს.

პუნქტი 293

ნამოსახლარი

სიმაღლე – 637 მ.

კოორდინატები: 41.45131 N 045.78801 E

დაფიქსირდა სოფ. ქვემო ბოდბის (სიღნაღის მუნიცი.) სამხრეთით 15-16 კმ დაშორებით, სამანქანო გზის აღმოსავლეთით. ნამოსახლარი გამართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთით დაგრძელებულ სერზე. ციტადელი ოვალურია, ზომით 35 X 20 მ. სამხრეთიდან ციცაბო ფერდობი შემოუყვება, დანარჩენ მხარეს კი თხრილი შემოსდევს. ასეთივე თხრილი შემოსდევს უფრო ქვემოთ ჩრდილოეთის ფერდობზე, ფორმით ისიც ოვალურია, 70 მ სიგრძის და 60 მ სიგანის.

პუნქტი 294

ნამოსახლარი (შვინდის ყელი)

სიმაღლე – 613 მ.

კოორდინატები: 41.46108 N 045.75023 E

აღმოჩნდა სოფ. ქვემო მაღაროს (სიღნაღის მუნიცი.) სამხრეთით, დაახლოებით 15-18 კმ-ზე, ნაომარი ველის სამხრეთ სერზე. ძეგლი სერის მოსწორებულ თხემზეა გამართული. სამხრეთიდან შემოსდევს ციცაბო ფერდობი. დანარჩენ მხარეს კი თავდაცვითი თხრილი შემოუყვება. ნამოსახლარი ოვალურია, დაგრძელებული აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. სიგრძე – 70 მ, სიგანე – 40 მ.

პუნქტი 295

ნამოსახლარი (ნაქალაქარი)

სიმაღლე – 656 მ.

კოორდინატები: 41.52110 N 045.77465 E

ნამოსახლარი დაფიქსირდა ქვემო მაღაროს (სიღნაღის მუნიცი.) სამხრეთით, 10-12 კმ დაშორებით, მაღალი სერის ჩრდილო ფერდობზე. შემოსდევს რელიეფში კარგად გამოხატული ღრმა ტერასა. ორი მხრიდან – აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მშრალი ღელე ჩამოუდის. ძეგლი ფორმით ოთხკუთხედს უახლოვდება. სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 50 მ-ა, სიგანე 35 მ. ჩრდილო ფერდობის ჩაყოლებით ეტყობა ძნელად შესამჩნევი ჩავარდნები, რაც სავარაუდოდ ზღუდის გარე დასახლება უნდა იყოს. ზედაპირული მასალა არ ჩანს. ძეგლი კონფიგურაციის მიხედვით, ძვ. წ. II ბოლოს უნდა ეკუთვნოდეს.

პუნქტი 296

ნამოსახლარი

სიმაღლე – 665 მ.

კოორდინატები: 41.51980 N 045.77589 E

ძეგლი აღმოჩნდა სოფ. ქვემო მაღაროს (სიღნაღის მუნიცი.) სამხრეთით, 10-12 კმ დაშორებით, სამანქანო გზის დასავლეთით, სამხრეთიდან ჩრდილოეთით დაფერდებულ ველზე. სიგრძე – 300-350 მ, სიგანე – 100 მ. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მშრალი ღელეები ჩაუდის. ზედაპირზე კარგად შეიმჩნევა ჩავარდნები, რაც ალბათ სათავსოებს უნდა წარმოადგენდნენ. აკრეფილი მწირი მასალის მიხედვით, ძეგლი შეიძლება ზოგადად, ფეოდალური ხანით დათარიღდეს.

პუნქტი 297

ნამოსახლარი (ვაისწყალი)

სიმაღლე – 662 მ.

კოორდინატები: 41.56497 N 045.72433 E

შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. აღმოჩენილია გასული საუკუნის 70-ანი წლების ბოლოს. მდებარეობს სოფ. ნუკრიაანის (სიღნაღის მუნიცი.) მინდვრებში, ადგილ ვაისწყალზე. ძეგლს უკავია დაახლოებით 3-4 ჰექტარი ფართობი, რომელიც ყოველწლიურად მუშავდება. აღსანიშნავია, რომ კახეთის ექსპედიციამ, აღმოჩენისთანავე მცირე მასშტაბის საველე სამუშაო ჩატარა (5 X 5 მ). გაიზიარა სამლოცველო საკურთხევლით. სამწუხაროდ, როგორც სამლოცველო, ისე საკურთხევლი, მოსახლეობის მიერ მაშინვე იქნა განადგურებული.

პუნქტი 298

ნამოსახლარი

სიმაღლე – 723 მ.

კოორდინატები: 41.56319 N 045.72086 E

აღმოჩნდა სოფ. ნუკრიაანის (სიღნაღის მუნიცი.) სამხრეთით, 15-18 კმ დაშორებით, ადგილ ვაისწყალზე (ადგილობრივი მოსახლეობა ნაქალაქარს უწოდებს). ნამოსახლარი გამართულია მაღალი გორის თხემზე. შემოსდევს ორი თავდაცვითი თხრილი. ფორმით წრიული, დიამეტრით 20 მ. აღმოსავლეთით დაფერდებულ ველზე, რომელიც 200 მ სიგრძის იქნება, კარგად ეტყობა ზღუდის გარე დასახლება.

უფრო აღმოსავლეთით, მეზობელ მაღალ გორაზე, პირდაპირი ხაზით 300 - ოდე მეტრში, გამართულია კიდევ ერთი ასეთი ნამოსახლარი, რომელიც პირველთან შედარებით უფრო მასშტაბურია. ნამოსახლარს შემოსდევს თავდაცვითი თხრილი. ფორმით ოვალური, ნაგრძელებული ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე. სიგრძე – 300 მ, სიგანე – 70 მ. გააჩნია ზღუდის გარე დასახლება როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ ფერდობზე, რომელიც გრძელდება მეზობელ, შედარებით დაბალ ბორცვზეც.

აქვე, ნამოსახლარს ჩრდილო მხრიდან, ბორცვის ძირზე, იქ სადაც რელიეფი შედარებით სწორდება, გასული საუკუნის 70-ანი წლების ბოლოს აღმოჩნდა გვინბრინჯაოს ხანის სამაროვანი (რადგან სამივე პუნქტი ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს, ამიტომ მათ ერთი ნომერი მივეცით). ძეგლი მაშინვე შეისწავლა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. გაითხარა სამაროვნის ნაწილი, სადაც დადასტურდა სამ იარუსად განლაგებული სამარხები.

პუნქტი 299

ნამოსახლარი (წინმატიანი I)

სიმაღლე – 640 მ.

კოორდინატები: 41.57564 N 045.51516 E

მდ. ივრის მარცხენა მხარეს, ადგილ წინმატიანში, ოთხი ნამოსახლარი დადასტურდა (მათი სიმჭიდროვის გამო ოთხივეს ერთ ნომერს ვაძლევთ).

წინმატიანი I - გამართულია მდ. ივრის მარჯვენა მხარეს, ამავე სახელწოდების სერის დასავლეთ მონაკვეთზე, ერთ-ერთ თავმრგვალ ბორცვზე. ძეგლი ოვალური ფორმისაა, დაგრძელებული აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. ირგვლივ შემოსდევს დამრეცი ფერდობი, სადაც შემორჩენილია თავდაცვითი თხრილის ფრაგმენტები. მიმდებარე რელიეფს ებმის მხოლოდ დასავლეთ ნაწილში და აქ ერთმანეთის მიყოლებით, სამი თხრილი აქვს შემოვლებული. სიგრძე – 35 მ, სიგანე – 15 მ. ჩრდილო ფერდობზე ეტყობა ზღუდის გარე დასახლება.

წინმატიანი II

სიმაღლე – 651 მ.

კოორდინატები: 41.57198 N 045.52208 E

წინმატიანი II, პირველისაგან აღმოსავლეთით, 300-400 მ დაშორებით მდებარეობს. ეს ნამოსახლარი უფრო ძლიერი და მაშტაბური ჩანს. გამართულია სერის მოსწორებულ თხემზე, დაგრძელებული სერის მიხედვით აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. ირგვლივ შემოსდევს დამრეცი ფერდობი. ციტადელის სიგრძე – 130 მ, სიგანე – 90 მ. 40-50 მ შემდეგ შემოსდევს მეორე თავდაცვითი თხრილი, რომელიც აგრეთვე ინტენსიურად ჩანს დასახლებული. ასევე დასახლებული ჩანს ჩრდილო და აღმოსავლეთი ფერდობიც.

წინმატიანი III

სიმაღლე – 560 მ.

კოორდინატები: 41.56907 N 045.55168 E

მესამე ნამოსახლარი, კიდევ უფრო აღმოსავლეთით, ორიოდ კილომეტრში დაფიქსირდა. ძეგლი გამართულია თავბრტყელ ბორცვზე. ფორმით წრიული, 85 მ დიამეტრით. გარს შემოსდევს რელიეფში კარგად გამოხატული თავდაცვითი თხრილი. დასავლეთის მხარეს შინიშნება ზღუდის გარე დასახლება.

წინმატიანი IV

სიმაღლე – 544 მ.

კოორდინატები: 41.57259 N 045.56892 E

წინმატიანი IV ბოლო დასახლებაა სერის აღმოსავლეთ მონაკვეთში, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით დაფერდებულ დაბალ, მოგრძო გორაზეა გამართული. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მშრალი ღელე ჩამოუდის. თითქმის ციკაბო ფერდობი შემოსდევს დასავლეთის მხრიდანაც. ციტადელს გარს შემოსდევს კიდეებამონეული თავდაცვითი ტერასა, რომლის სიგრძე – 70 მ, სიგანე – 55 მ უდრის. ციტადელს აღმოსავლეთიდან ებმის, ასევე კიდეებამონეული, მეორე თავდაცვითი თხრილი. სიგრძე – 100 მ, სიგანე – 75 მ. თავდაცვით თხრილები კიდევე უფრო აღმოსავლეთითაც გრძელდება და აქ ის სამ ადგილზეა გაჭრილი.

პუნქტი 300

ნამოსახლარი

სიმაღლე – 671 მ.

კოორდინატები: 41.52675 N 045.53873 E

ნამოსახლარი გამართულია მდ. ივრის მარჯვენა შენაკადის, კოვზების ხევის მარცხენა მხარეს, ერთ-ერთ განკიდულ გორაზე. ირგვლივ ციკაბო ფერდობი შემოსდევს, მხოლოდ დასავლეთის მხრიდან ებმის დანარჩენ რელიეფს და აქ აქვს გამართული თავდაცვითი თხრილი. ფორმით წრიული, დიამეტრით – 50 მ. ჩრდილო ფერდობზე კარგად ეტყობა ზღუდის გარე დასახლება. ციტადელის ცენტრში შეინიშნება 5 მ დიამეტრის და 1 მ სიმაღლის კონუსური ფორმის შემალლება. სავარაუდოდ ეს შეიძლება იყოს გორასამარხი ან რომელიმე ნაგებობის ნაშთი.

პუნქტი 301

ნამოსახლარი

სიმაღლე – 825 მ.

კოორდინატები: 41.51815 N 045.44301 E

აღმოჩნდა სოფ. უდაბნოს (საგარეჯოს მუნიციპ.) ჩრდილო-აღმოსავლეთით 6-7 კმ დაშორებით, აღმოსავლეთიდან დასავლეთით ნაგრძელებულ სერზე. ძეგლი ძლიერაა დაზიანებული გასული საუკუნის 60-80 იან წლებში, როცა აქ ფუნქციონირებდა სამხედრო პოლიგონი. შეიძლება ითქვას, რომ ნამოსახლარი ბოლომდეა დანგრეული. აქა-იქ შეინიშნება თავდაცვითი ზღუდის ნაშთები. სიგრძე – 50 მ, სიგანე – 35 მ.

აქვე, ნამოსახლარის ჩრდილო ფერდობის გავაკებაზე, ყორღანული ველი დაფიქსირდა. ველზე გაბნეულია ორ ათეულამდე გორასამარხი. დიამეტრი მერყეობს 8 მ-დან 20 მ-მდე, სიმაღლე 0.40 მ-დან 1 მ-მდე.

პუნქტი 302

მელი-ღელეს სამლოცველო

სიმაღლე – 557 მ.

კოორდინატები: 41.60389 N 045.74185 E

სამლოცველო მდებარეობს სოფ. მელაანის (გურჯაანის მუნიცი.) სამხრეთით 10-12 კმ დაშორებით, მელი-ღელედ ნოდებულ ადგილში. ველზე გაშენებულია ვენახი, ხოლო უშუალოდ ძეგლზე გადადის განიერი, 50 მ სიგანის აკაცის ქარსაცავი ზოლი. სამლოცველო აღმორჩენილია გასული საუკუნის 60-ანი წლების შუა ხანებში და მაშინვე ჩატარდა საველე სამუშაოები. ძეგლი გამოქვეყნებულია.

პუნქტი 303

ნამოსახლარი (კოშკის გორა)

სიმაღლე – 693 მ.

კოორდინატები: 41.57688 N 045.70292 E

დაფიქსირდა სოფ. მელაანის (გურჯაანის მუნიცი.) სამხრეთ-დასავლეთით 15-18 კმ დაშორებით, ადგილ გორებში. ძეგლი გამართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთით გაჭიმული სერის ერთ-ერთ თავმომრგვალებულ გორაზე. ნამოსახლარი წრიულია, დამეტრით 35 მ. გარს შემოსდევს რელიეფში კარგად გამოხატული თავდაცვითი თხრილი. ძეგლის ჩრდილო მხარეს შემორჩენილია შუა საუკუნეების დროინდელი კოშკი (აქედანაა მისი სახელწოდებაც), რომლის ზედა ნაწილიც მონგრეულია. შემორჩენილია 1.5-2 მ სიმაღლის კედლები, ზომით 9 X 9 მ.

პუნქტი 304

ნამოსახლარი (ავშნიანი გორა)

სიმაღლე – 448 მ.

კოორდინატები: 41.63846 N 045.65307 E

ძეგლი აღმორჩენილია 1971 წელს მდ. ივრის მარცხენა მხარეს, სოფ. ჯიმითის (გურჯაანის მუნიცი.) სამხრეთით, 17-18 კმ დაშორებით. იმავე წელს ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები, რომელიც მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა. ნამოსახლარი დაბალი სერის სწორ ადგილას გაუმართავთ, რომელიც შემდეგ კულტურული ფენების დაშრეების შედეგად იქცა ბორცვად. ბორცვი მთლიანად ანტიკური ხანის ფენებს შეიცავს.

ნამოსახლარის აღმოსავლეთით 70 მეტრში აღმოჩნდა ამავე ფენების შემცველი სამაროვანი, რომელიც ჩახრამულ ადგილას წყალმა გამოაჩინა. გაითხარა ათეულამდე სამარხი.

პუნქტი 305

ყორღანული ველი (სანგალი)

სიმაღლე – 496 მ.

კოორდინატები: 41.63846 N 045.65307 E

ყორღანული ველი ცნობილია გასული საუკუნის 70-ანი წლებიდან. აღმოჩენილია სოფ. ჯიმიტის (გურჯაანის მუნიცი.) სამხრეთით, 7-8 კმ დაშორებით. გორასამარხები გაბნეულია საკმაოდ დიდ ფართობზე. გასული საუკუნის 80-ანი წლების დასაწყისში კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა ადრებრინჯაოს ხანის ერთი გორასამარხი (ჩიხისწყლის №1 გორასამარხი. მასალა გამოქვეყნებულია). ველის ინტენსიური დამუშავების შედეგად გორასამარხთა უმეტესობა გადასწორებულია და რელიეფში აღარ ეტყობა. მაგრამ ჯერ კიდევ შეიმჩნევა შედარებით დიდი სამარხები. რამდენიმე მათგანის დიამეტრი 30 მ აღწარბებს. ერთ-ერთ მათგანზე გამართულია ვენახის სანამლი აუზები და ამდენად, დაზიანებულია. მოჭრილი აქვს სამხრეთი ნაწილი, თუმცა სავარაუდოდ კამერა გადარჩენილი უნდა იყოს. (აუზები დღეს აღარ ფუნქციონირებს).

პუნქტი 306

ნამოსახლარი

სიმაღლე – 649 მ.

კოორდინატები: 41.65834 N 045.68887 E

აღმოჩნდა სოფ. კაჭრეთის (გურჯაანის მუნიცი.) აღმოსავლეთით, კარალის ხევის მარცხენა მხარეს, მაღალი სერის დაბოლოებაზე. ძველი ოვალურია, დაგრძელებული ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე. გარს შემოსდევს დამრეცი, ზოგან ციცაბო ფერდობი. მხოლოდ ჩრდილო მხარეს ებმის მიმდებარე რელიეფს და თავდაცვითი თხრილიც აქ არის გავლებული. სიგრძე – 90 მ, სიგანე – 20 მ.

პუნქტი 307

ნამოსახლარი (ნიჩურაანთ გორა)

სიმაღლე – 878 მ.

კოორდინატები: 41.69218 N 045.68924 E

გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დაფიქსირდა სოფ. ჯიმიტის ჩრდილოეთით 1 კმ-ში, ძველი ჯიმიტის ნასოფლარზე. პუნქტი ნიჩურაანთ გორის სახელწოდებითაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი შუა და გვიანი შუა საკუნეების განმავლობაში გორაზე მჭიდრო დასახლება იყო, დღესაც კარგად ეტყობა რელიეფში მკვეთრად გამოხატული თავდაცვითი თხრილი, განსაკუთრებით კი დასავლეთისა და სამხრეთის მხარეს. ფორმით წრიულს უახლოვდება, დიამეტრი – 50 მ.

პუნქტი 308

ნამოსახლარი (ნადიკარი)

სიმაღლე – 791 მ.

კოორდინატები: 41.68536 N 045.70182 E

ენეოლითური ხანის ნამოსახლარი. აღმოჩნდა გასული საუკუნის 70-ანი წლების შუა ხანებში. მდებარეობს ჰერეთის მთის სამხრეთ კალთაზე, ჯიმიტის ხევის მარცხენა მხარეს. ჩრდილო-დასავლეთიდან ლიჭისწყალი ჩამოუდის, სამხრეთ-დასავლეთიდან – გუდაანთწყალი. ზედაპირულად აკრეფილი მასალის მიხედვით, ძეგლი გვიანი ენეოლითით თარიღდება (მასალა გამოქვეყნებულია).

პუნქტი 309

კაჟის ჩასართების სახელოსნო

სიმაღლე – 734 მ.

კოორდინატები: 41.65669 N 045.73473 E

ძეგლი აღმოჩენილია გასული საუკუნის 70-ანი წლების დასაწყისში, სოფ. არაშენდის (გურჯაანის მუნიცი.) სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორიოდე კილომეტრში, მდ. ლაკბის მარცხენა მხარეს, სწორ გაშლილ ველზე. აქვე სათავეს იღებს სასილნალო ღელედ წოდებული მშრალი ხრამი, რომლის სათავეშიც, ჯერ ხრამისკენ დაცურებულ ფენაში, შემდეგ კი ველზე, აკრიფა კაჟის როგორც მთელი, ისე მისი ნახევარფაბრიკატები და ანატკეც-ანამტვრევები. 1974 წ. კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა და მნიშვნელოვანი მასალა მოიპოვა (მასალა გამოქვეყნებულია).

პუნქტი 310

სამლოცველო (?)

სიმაღლე – 735 მ.

კოორდინატები: 41.65669 N 045.73473 E

ძეგლი ცნობილია გასული საუკუნის 60-ანი წლების შუა ხანებიდან. მდებარეობს სოფ. არაშენდის (გურჯაანის მუნიცი.) სამხრეთით, 3 კმ დაშორებით, სწორ, გაშლილ ველზე. დასავლეთის მხრიდან ჩამოუდის ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით მშრალი ხეობა. ძეგლი აღმოჩნდა მიწის სამუშაოების დროს. მცირე მონაკვეთზე გაიწმინდა ერთ ათეულამდე ბრინჯაოს მახვილი, სავარაუდოდ სამლოცველოსთვის შეწირული.

პუნქტი 311

ნამოსახლარი (წმინდა მარინე)

სიმაღლე – 936 მ.

კოორდინატები: 41.75131 N 045.59165 E

გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ფიქსირდება მდ. ჭერემის მარცხენა მხარეს მაღალ გორაზე, სოფ. ჭერემის (გურჯაანის მუნიციპ.) სამხრეთ-დასავლეთით, სოფლის განაპირას. ირგვლივ შემოსდევს ტერასა და დამრეცი ფერდობი. მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთით ებმის დანარჩენ რელიეფს და აქ აქვს გავლებული თავდაცვითი თხრილი. თხემი მოსწორებული, წრიული, დიამეტრით 25 მ. ცენტრში შემორჩენილია წმინდა მარინეს (ბორცვის სახელიც აქედან მოდის) სახელობის პატარა ეკლესიის საძირკვლის ნაშთი.

ჩრდილო-დასავლეთით ორასიოდე მეტრში, სოფლის ცენტრში, გასული საუკუნის 70-ანი წლების ბოლოს, სკოლის მშენებლობის დროს, აღმოჩნდა ორ ათეულამდე ქვაყუთი, რომელიც შეისწავლა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. მოპოვებული მასალის მიხედვით სამარხები ახ. წ. II-III საუკუნეებით თარიღდება (მასალა გამოქვეყნებულია).

პუნქტი 312

ნამოსახლარი (სალანძილე)

სიმაღლე – 1060 მ.

კოორდინატები: 41.76326 N 045.57520 E

აღმოჩნდა სოფ. ჭერემის (გურჯაანის მუნიციპ.) ჩრდილოეთით, ერთ კილომეტრში, ადგილ სალანძილეში. გასული საუკუნის 80-ანი წლების დასაწყისში გაითხარა მცირე ფართობი, სადაც დაფიქსირდა სათავსოს ფრაგმენტი იატაკში ჩადგმული კერით. მოპოვებული მასალის მიხედვით ნამოსახლარი მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში, მისგან სამხრეთით, იქვე ასიოდე მეტრში აღმართულ გორაზე, შენობის საძრკვლისთვის გათხრილ თხრილში (თუმცა მშენებლობა არც დაწყებულა), ანალოგიური მასალა დადასტურდა. ამის მიხედვით ორივე ძეგლი ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით უნდა თარიღდებოდეს (მასალა გამოქვეყნებულია).

ორკვირიანი საველე დაზვერვების შედეგად რაზმმა აღმოაჩინა და დააფიქსირა 43 არქეოლოგიური ძეგლი. აქედან:

1. მეზოლითური – 1
2. ენეოლითური – 1
3. ადრებრინჯაოს ხანის – 1
4. შუაბრინჯაოს ხანის – 1
5. გვიანბრინჯაოხანის – 20
6. გორასამარხი – 1
7. ყორღანული ველი – 6
8. რკინის სადნობი სახელოსნო – 1
9. ანტიკური-ადრეფეოდალური ხანის ნამოსახლარი – 3
10. კაჟის ჩასართების სახელოსნო – 1
11. სამაროვანი – 4
12. საკულტო – 3











